საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბრძანება

1/324/23 **04-12-2023**

ზურაბ ჟვანიას თავისუფლების საპარლამენტო ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „ყ“ ქვეპუნქტების, „თავისუფლების საპარლამენტო ორდენით, პარლამენტის მედლითა და პარლამენტის სამკერდე ნიშნით პირთა დაჯილდოების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 13 თებერვლის №31/3 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „თავისუფლების საპარლამენტო ორდენით, პარლამენტის მედლითა და პარლამენტის სამკერდე ნიშნით პირთა დაჯილდოების წესის“ №1 დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი–მე-3 პუნქტების, მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის 2023 წლის 4 დეკემბრის №2-19910/23 წარდგინებისა და საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2023 წლის 4 დეკემბრის №314/6 გადაწყვეტილების შესაბამისად:

1. პარლამენტარიზმის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის 1992–2004 წლებში საქართველოს III, IV და V მოწვევის პარლამენტის წევრი, IV და V მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე და 2004-2005 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია დაჯილდოვდეს თავისუფლების საპარლამენტო ორდენით (გარდაცვალების შემდეგ).

2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2023 წლის 4 დეკემბერს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადების დღიდან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადების დღიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

პარლამენტის თავმჯდომარე
შალვა პაპუაშვილი